

კოდიფიცირებული

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ო ა №87

2013 წლის 19 აგვისტო,
ქ. ბათუმი

**ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების
შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საფუძველზე, ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესი დანართი 1-ის შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი “ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის N56 დადგენილება;
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
რექტორი, პროფესორი

ალიოზა ბაკურიძე

ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესი

მუხლი 1. მიზანი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში „ბსუ“) სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს. ამ პროგრამების განხორციელებისათვის ადგენს აუცილებელ მინიმალურ სტანდარტებს.

2. ბსუ-ს დოქტორანტურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური, რომლის ძირითადი მიზანია სადოქტორო პროგრამის საფუძველზე დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა, სამეცნიერო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის მომზადება, აკადემიური და სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება, ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელის შეწყობა, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა მომზადება.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამა

1. სადოქტორო პროგრამას წარმოადგენს ბსუ-ს ერთი ან რამდენიმე ფაკულტეტი და ამტკიცებს ბსუ-ს აკადემიური საბჭო.

2. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს დარგის აკადემიური პერსონალი. იგი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ბსუ-ს მისიასთან და ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფოს, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა, შრომის ბაზრისა და მოსალოდნელი დამსაქმებლის) მოთხოვნებს. პროგრამაში შემავალი სხვადასხვა ასპექტი უნდა აღიწეროს მკაფიოდ, გასაგები ენით.

3. პროგრამის შემუშავებასა და ეფექტურ განხორციელებას კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან მოწვევის შემთხვევაში დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი).¹

4. პროგრამის თავფურცელზე უნდა მიეთითოს სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, შესაბამისი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად), პროგრამის მოცულობა კრედიტებით, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განხორციელების ვადა, პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების რეკვიზიტები.

5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა აღიწეროს:

¹ ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 მაისის №48-ე დადგენილებით.

ა) პროგრამის მიზანი და აქტუალობა - უნდა აღიწეროს პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია დოქტორანტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე. მიზანი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს კვალიფიკაციის ჩარჩოსთან, უნდა გამოიკვეთოს საკვლევი თემები ფაკულტეტის სამეცნიერო რესურსის გათვალისწინებით. ნაჩვენები უნდა იქნას პროგრამის აქტუალობა პროგრამაში დასმული პრობლემატიკის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვით, აქვე უნდა ჩანდეს, რომ შესაბამის ფაკულტეტს/დეპარტამენტს გააჩნია ამ მიმართულებით კვლევის წარმოების რესურსი (არსებობის შემთხვევაში სადოქტორო პროგრამის შესაბამის დარგში მოპოვებული გრანტების დამოწმებით);

ბ) სამეცნიერო სიახლე: უნდა აღიწეროს პროგრამით მისაღწევი მეცნიერული სიახლე და მისი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა;

გ) პროგრამის შედეგი: კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს შესაბამისად უნდა აღიწეროს ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები და უნარ-ჩვევები;

დ) დასაქმების სავარაუდო სფეროები;

ე) პროგრამაზე მიღების პირობები: უნდა მიეთითოს, რა წინაპირობები არსებობს პროგრამაზე დასაშვებად (გამოცდა/გასაუბრება სპეციალობაში - დანართის სახით უნდა მიეთითოს მისაღები გამოცდის/გასაუბრების თემატიკა სათანადო ლიტერატურით. უცხო ენის გამოცდის შესახებ საკმარისია უცხო ენაში ცოდნის დონის მითითება);

ვ) პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა შესაძლო რაოდენობა;

ზ) შეფასების სისტემა: აღიწეროს შეფასების ზოგადი სისტემა და პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ადეკვატური შეფასების მეთოდები;

6. პროგრამას თან უნდა ახლდეს:

ა) სასწავლო კომპონენტების სილაბუსები;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი აქტივობის (პროფესორის ასისტენტობა, სემინარი, კოლოქვიუმი, პრაქტიკა და სხვა აქტივობა) დეტალური აღწერა;

გ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;

დ) ინფორმაცია (CV) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ;

ე) პროგრამაში ჩართულ კვლევით ან სხვა დაწესებულებასთან შეთანხმება (ხელშეკრულება) და ხარჯთაღრიცხვა ერთ დოქტორანტზე, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან შეთანხმებული ფორმით.

დ) პროგრამის დამტკიცების აქტი.

7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, საიდანაც არაუმეტეს 40%-ისა უნდა დაეთმოს სასწავლო კომპონენტს, ხოლო დანარჩენი კვლევით კომპონენტს.

8. ფაკულტეტის საბჭოზე საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება მხოლოდ რეცენზენტების (ამ მიზნით ფაკულტეტის საბჭო განიხილვამდე ერთი თვით ადრე გამოყოფს ორ რეცენზენტს. რეცენზენტი შეიძლება იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი/დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი), კურიკულუმის კომიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემდეგ.

9. რეცენზენტები, კურიკულუმის კომიტეტი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დეკანს წარუდგენენ დასკვნებსა და რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

10. დადებითი დასკვნის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი პროგრამას განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს განხილვის შემდეგ კი პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება ბსუ–ს აკადემიურ საბჭოს, რომელიც უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს პროგრამის კონფიდენციალური ექსპერტიზა.

11. აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული პროგრამის დამოწმებული ასლი აკრედიტაციისთვის ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცენტრის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტირებულად ჩათვლის შემდეგ ცხადდება ამ პროგრამაზე მიღება.

12. პროგრამა ექვემდებარება განახლებას. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

მუხლი 3. დოქტორანტურაში ჩარიცხვისა და სწავლის პირობები

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. დოქტორანტურაში მისაღები კონკურსი მოიცავს:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას;

ბ) გამოცდა/გასაუბრებას უცხო ენასა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) და სპეციალობაში;²

4. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა (იხ. დანართი 1).

5. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის A2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.³

6. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებითა და სადოქტორო პროგრამებით შეიძლება დადგენილ იქნეს ამ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დამატებითი მოთხოვნები.

7. დოქტორანტურაში მიღება რეგულირდება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესის“ (ბსუ–ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №134, 27. 07.2012) შესაბამისად.

8. ⁴ კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება;

² ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 მაისის №48–ე დადგენილებით.

³ ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 მაისის №48–ე დადგენილებით.

⁴ ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 მაისის №48–ე დადგენილებით.

ბ) უმაღლესი განათლების (კვალიფიკაციის) დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (დამოწმებული ნოტარიულად);

გ) სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო თემის დასახელება და მეცნიერ-ხელმძღვანელის თანხმობა;

დ) საკონკურსო პირობებით დადგენილი სხვა დოკუმენტაცია.

9. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ სადოქტორო პროგრამაზე მიღება ცხადდება სასწავლო წლის დასაწყისში, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რექტორის აქტით. დოქტორანტურაში მისაღები კონკურსის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ.

10. დოქტორანტმა ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის განმავლობაში სწავლისა და კვლევის პროცესში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ, მისი მომდევნო (არაუმეტეს ოთხი) სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხი (ხელმძღვანელის შუამდგომლობის განხილვა, დამატებული სემესტრის/სემესტრების რაოდენობა და სხვა) განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს აკადემიური საბჭო, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროგრამას არ გასდის აკრედიტაციის ვადა.

11. კანონმდებლობითა და ბსუ-ს წესდებით დადგენილი წესით დოქტორანტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: აკადემიური შვებულება; ავადმყოფობა; უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა; ფინანსური დავალიანება ან ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

12. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებითა (წარდგინებითა) და ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე დოქტორანტს შეიძლება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შეუწყდეს:

ა) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;

ბ) ერთი და იგივე სასწავლო და სამეცნიერო (კოლოქვიუმები) კომპონენტის სამჯერ დადებით ქულაზე შეუსრულებლობის შემთხვევაში;

გ) ბსუ-სა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

დ) კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებითა და სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 4. სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.

2. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას. შესრულების

დამაბრკოლებელი ფაქტორების არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია წერილობით მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს.

3. სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში, სწავლის ნებისმიერ ეტაპზე, ხელმძღვანელი დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებითა და აკადემიური საბჭოს თანხმობის შემდეგ დოქტორანტს ენიშნება ახალი სამეცნიერო ხელმძღვანელი და განესაზღვრება დოქტორანტურის დასრულების მაქსიმალური ვადა.

4. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ, მათ შორის ხელმძღვანელის მოწვევის გადაწყვეტილებას, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით იღებს აკადემიური საბჭო.

მუხლი. 5 დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

3. დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი) გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სალექციო კურსებსა და სემინარს, ხოლო სავალდებულო კვლევითი კომპონენტები მოიცავს მინიმუმ 2 კოლოქვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის) და სადისერტაციო ნაშრომს (80 კრედიტი).

4. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში სავალდებულო კურსებია: სწავლების თანამედროვე მეთოდები, აკადემიური წერა, ორი სადოქტორო სემინარი (დარგში და ქვედარგში), პროფესორის ასისტენტობა, კვლევის მეთოდები და ხერხები. პროფესორის ასისტენტობის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის ან მისი წარმართვისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავება.

5. სასწავლო კომპონენტის „პროფესორის ასისტენტობა“ შესრულების შედეგად ივსება ამ წესის დანართი 2-ის შესაბამისი ფორმა.

6. უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე, სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, დოქტორანტი ვალდებულია მოამზადოს ორი სადოქტორო სემინარი – დარგში და ქვედარგში. სემინარის ორგანიზებას ახდენს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები. შესაძლებელია დოქტორანტმა მონაწილეობა მიიღოს ინტერდისციპლინურ და ინტერფაკულტეტურ სემინარებში. სადოქტორო პროგრამების მიხედვით, სემინარის კრედიტების რაოდენობა და შესაბამისი დროს განაწილება მოცემულია ცხრილში.

	პროგრამის დასახელება	სემინარი დარგში		სემინარი ქვედარგში		დროს განაწილება			
		კრედიტი	საათი	კრედიტი	საათი	დამოუკიდებელი მუშაობა		კონსულტაცია	
						დარგში	ქვედარგში	დარგში	ქვედარგში
1	ბიზნესის	10	250	10	250	240	240	10	10

	ადმინისტრირება								
2	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	10	250	10	250	240	240	10	10
3	ლიტერატურათმც ოდნეობა	10	250	10	250	240	240	10	10
4	ლინგვისტიკა	10	250	10	250	240	240	10	10
5	არქეოლოგია	10	250	5	125	240	120	10	5
6	ბიოლოგია	5	125	5	125	120	120	5	5
7	გეომეტრია– ტოპოლოგია	5	125	5	¹ 25	120	120	5	5
8	ფიზიკა	5	125	5	125	120	120	5	5
9	აგროეკოლოგია, მცენარეთა დაცვა	5	125	5	125	120	120	5	5
10	ხელოვნების ისტორია და თეორია	10	250	5	125	240	120	10	5
11	სასურსათო ტექნოლოგია	5	125	5	125	120	120	5	5
12	სატყეო საქმე	10	250	10	250	240	240	10	10
13	აგროინჟინერია	10	250	10	250	240	240	¹ 0	10
14	აგროტექნოლოგია	10	250	10	250	240	240	10	10
15	კომპიუტერული ტექნოლოგიები	10	250	5	¹ 25	240	120	10	5
16	განათლება	10	250	5	125	240	120	10	5
17	ეკონომიკა	10	250	10	250	240	240	10	10
18	ბიოორგანული ქიმია	10	250	10	250	240	240	10	10
19	ისტორია	10	250	5	125	240	120	10	5
20	თანამედროვე ალგებრა(ნახევარ ჯგუფები)	10	250	10	250	240	240	10	10
21	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	10	250	5	125	240	120	10	5

7. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სემინარის თემა დარგის, ქვედარგის აქტუალურ საკითხებს ეძღვნება. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტი მუშაობის პროცესში კონსულტაციებს გადის პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან. დოქტორანტი, სადოქტორო სემინარში

მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად, 10-15 დღით ადრე, სასემინარო ნაშრომს წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს, რომელიც აფასებს სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს ქვემოთ მოცემული კრიტერიუმებით, სადოქტორო სემინარის კონსულტაციების გრაფიკი განისაზღვრება ინდივიდუალურად, აუცილებლობიდან გამომდინარე.

8. დოქტორანტი წერილობით წარმოადგენს სასემინარო თემას (25–30 გვერდის მოცულობით. A4 ფორმატი, სილფაენი, შრიფტის ზომა - 12, სტრიქონებს შორის მანძილი -1,5; დაშორება გვერდებიდან 3–1,5 სმ); დოქტორანტი აკეთებს სასემინარო ნაშრომის პრეზენტაციას (15–25 წუთი), რომელსაც მოჰყვება დისკუსია.

9. სადოქტორო სემინარის მიზანია:

ა) შესაბამისი თემის სიღრმისეული შესწავლა და პრობლემატური საკითხების გაცნობიერება;

ბ) პრობლემის გადაჭრისთვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;

გ) ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება/გამოყენება, რომელიც ორიენტირებულია თემის სიღრმისეულ ანალიზზე;

დ) თემატურ დისკუსიაში დასაბუთებულად ჩართვა.

10. სადოქტორო სემინარის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება: შესაბამისი თემის ფარგლებში დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლესი მიღწევების შესწავლა, რაც არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას იძლევა; საკითხის/საკითხების ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით განახლებულად თემის ფარგლებში გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: სასემინარო თემის შესახებ თეორიული და ემპირიული მასალის გაანალიზება და სისტემატიზაციის განხორციელება; კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება/გამოყენება, რომლებიც ორიენტირებულია თემის სიღრმისეულ ანალიზზე;

გ) დასკვნის უნარი: ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფუძველზე პრობლემის/პრობლემების გამოკვეთა; პრობლემის/პრობლემების დასაძლევად ინდივიდუალური ხედვის ჩამოყალიბების უნარი;

დ) კომუნიკაციის უნარი: პრეზენტაციის დროს ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში გარკვევით წარმოჩენა; თემატურ დისკუსიაში დასაბუთებულად ჩართვა;

11. სემინარის შეფასება ხდება 3 კომპონენტით: ა) სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარე; ბ) სასემინარო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციის ფორმალური მხარე; გ) დისკუსიაში მონაწილეობა.

12. სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს აფასებს პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები, ან პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციით, კომპეტენტური პირი. სემინარში მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება – მინიმუმ 31 ქულით.

13. სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებაში გაითვალისწინება: საკითხის დასმა; საკითხის გადაწყვეტის გზა; მიღებული შედეგები; მათი არგუმენტირებული დასაბუთება და სხვ. – მაქსიმუმალური შეფასება- 50 ქულა;

შეფასებისას ქულები ენიჭება შემდეგნაირად:

ა) 41-50 ქულა: შინაარსი ამომწურავად და ადეკვატურად ასახავს თემის ძირითად პრობლემატიკას; ტერმინოლოგია დაცულია. დოქტორანტს ღრმად და საფუძვლიანად აქვს გააზრებული თემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო მიდგომები და პრაქტიკული (ემპირიული) მასალა; საკითხის სისტემური გააზრების საფუძველზე გამოკვეთილია პრობლემა; შემოთავაზებულია არგუმენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები; შესწავლილია შესაბამისი თემის ფარგლებში დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლესი მიღწევები, რაც არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას იძლევა; საკითხის/საკითხების ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით განახლებულად აქვს გაცნობიერებული თემის ფარგლები; შემუშავებული/გამოყენებულია კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომელიც ორიენტირებულია თემის სიღრმისეულ თვისებრივ და რაოდენობრივ ანალიზზე;

ბ) 31-40 ქულა: შინაარსი ამომწურავად და ადეკვატურად ასახავს თემის ძირითად პრობლემატიკას; ტერმინოლოგია დაცულია. დოქტორანტს კარგად აქვს გააზრებული თემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო მიდგომები და პრაქტიკული (ემპირიული) მასალა; საკითხის გააზრების საფუძველზე გამოკვეთილია პრობლემა; შემოთავაზებულია არგუმენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები; შესწავლილია შესაბამისი თემის ფარგლებში დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლესი მიღწევები, რაც არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას იძლევა; შემუშავებული/გამოყენებულია კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომელიც ორიენტირებულია თემის სიღრმისეულ თვისებრივ და რაოდენობრივ ანალიზზე;

გ) 21-30 ქულა: შინაარსი ადეკვატურად ასახავს თემის ძირითად პრობლემატიკას, მაგრამ გადმოცემისას დაშვებულია არაარსებითი ხარვეზები; ტერმინოლოგიურად გამართულია; დოქტორანტს დამუშავებული და გააზრებული აქვს თემის ირგვლივ არსებული ძირითადი სამეცნიერო მიდგომები და პრაქტიკული მასალა; შემოთავაზებული აქვს არგუმენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები; საკითხის/საკითხების ხელახალი გააზრებისა გზით განახლებულად აქვს გაცნობიერებული თემის ფარგლები; გამოყენებული აქვს კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომელიც ორიენტირებულია თემის თვისებრივ და რაოდენობრივ ანალიზზე;

დ) 11-20 ქულა: შინაარსში გამოტოვებულია ან არაამომწურავად არის განხილული ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მაგრამ წარმოდგენილი მასალა თემის ძირითად პრობლემატიკას ადეკვატურად ასახავს. ტერმინოლოგია გამართულია; დოქტორანტი ძირითადად ფლობს სამეცნიერო მიდგომებსა და პრაქტიკულ მასალას თემის ირგვლივ, მაგრამ სისტემურად არ აქვს გააზრებული და გადმოცემული შესწავლილი მასალა; შემოთავაზებული აქვს არგუმენტირებული დასკვნები შესწავლილი მასალის ფარგლებში; საკითხის/საკითხების ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით განახლებულად აქვს გაცნობიერებული თემის ფარგლები; გამოყენებული აქვს კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომელიც ორიენტირებულია თემის ანალიზზე; არასაკმარისად იყენებს კვლევით და ანალიტიკურ მიდგომებს, რომელიც ორიენტირებულია თემის თვისებრივ და რაოდენობრივ ანალიზზე.

ე) 1-10 ქულა: შინაარსი ადეკვატურად, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში არაამომწურავად ასახავს თემის ძირითად პრობლემატიკას. არასაკმარისად აქვს

შესწავლილი სამეცნიერო მიდგომები და პრაქტიკული მასალა თემის ირგვლივ; ტერმინოლოგია ხარვეზებს შეიცავს; შემოთავაზებული აქვს დასკვნები, რომლებიც არგუმენტირებულია არასაკმარისად; კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს იყენებს სუსტად;

14. სადოქტორო სასემინარო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციის ფორმალური მხარე გულისხმობს დასკვნების გარკვევით წარმოჩენას, რეგლამენტის დაცვას, კონტაქტს აუდიტორიასთან, მასალების გაფორმების ვიზუალურ მხარეს და სხვ. – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა, საიდანაც 10 ქულა მოდის ფორმატზე (რეგლამენტის დაცვა, მასალები, პრეზენტაციის ტექნოლოგია, გაფორმების ვიზუალური მხარე), ხოლო 10 ქულა- კონტაქტი აუდიტორიასთან, დასკვნების არგუმენტირებული დასაბუთება)

16. დისკუსიაში მონაწილეობა გულისხმობს დოქტორანტის მიმართ დასმულ კითხვებზე არგუმენტირებული პასუხებს და დისკუსიის დროს წამოჭრილ საკითხებზე კვალიფიციურ კომენტარებს – მაქსიმალურია 30 ქულა, საიდანაც 21–30 ქულამდე ენიჭება დოქტორანტს, რომელიც არგუმენტირებულად პასუხობს დასმულ კითხვებს, ავლენს კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, შეფასების უნარ-ჩვევებს; 11–20 ქულამდე ენიჭება დოქტორანტს, რომელიც კვალიფიციურად ერთვება დისკუსიაში, არგუმენტირებულად ასაბუთებს მოსაზრებებს, ავლენს კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, შეფასების უნარ-ჩვევებს, ხოლო 1–10 ქულა ენიჭება დოქტორანტს, რომელიც საკმარისად არგუმენტირებულად ვერ ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს, სრულად ვერ ავლენს კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, შეფასების უნარ-ჩვევებს.

სემინარის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია
91%-ზე მეტი	(A) "ფრიადი"	დადებითი
81-90 %	(B) "ძალიან კარგი"	დადებითი
71-80 %	(C) "კარგი"	დადებითი
61-70 %	(D) "დამაკმაყოფილებელი"	დადებითი
51-60 %	(E) "საკმარისი"	დადებითი
41-50%	(FX) "ვერ ჩააბარა"	უარყოფითი
40% და ნაკლები	(F) „ჩაიჭრა“	უარყოფითი

17. სადოქტორო სემინარის შეფასება ფორმდება უწყისში (იხ. დანართი 3). დოქტორანტის სასემინარო გამოსვლას აფასებს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები კომისიის წევრებთან ერთად.

18. რეკომენდებულია სასწავლო კომპონენტებს შორის კრედიტების განაწილება შემდეგი წესით მოხდეს: აკადემიური წერა - 5 კრედიტი, სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი, კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი, პროფესორის ასისტენტობა I და II - 10 კრედიტი, სემინარი დარგში - 10 კრედიტი, სემინარი

ქვედარგში - 10 კრედიტი, არჩევითი კურსები ან პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი აქტივობები - 15 კრედიტი.

19. კოლოქვიუმი არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. იგი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ შესრულებული კვლევითი სამუშაოს ეტაპობრივ წარმოდგენას დარგის სპეციალისტების წინაშე და შეფასებას. რეკომენდებულია დოქტორანტმა სწავლების მესამე და მეოთხე სემესტრებში კოლოქვიუმზე თეზისის სახით წარმოდგინოს შესრულებული კვლევითი სამუშაოს მიმოხილვა, აღწეროს მის მიერ მიღებული შედეგები და მათი გამოყენებანი/მნიშვნელობა მეცნიერული სიახლის თვალსაზრისით. კოლოქვიუმის მომზადების პროცესში წყდება შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- ა) დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის არეალის გაფართოება;
- ბ) დარგის ინოვაციური კვლევის მეთოდოლოგიის დამოუკიდებლად შემუშავება და სრულყოფა;
- გ) კოლოქვიუმის თემის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გააზრება;
- დ) პრეზენტაციის უნარისა და დისპუტის ხელოვნების განვითარება-სრულყოფა;
- ე) დამოუკიდებელი და ჯგუფთან მუშაობის უნარის განვითარება-სრულყოფა;
- ვ) სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება რეფერირებადი ჟურნალისათვის.

20. ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში სტუდენტისთვის განსაზღვრულია ორი კოლოქვიუმის ჩატარება. დოქტორანტი ვალდებულია, პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინოს კოლოქვიუმის ბეჭდური და ელექტრონული ვერსია, რომელიც გადაეცემა შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს/პირებს (რეცენზენტებს).

21. კოლოქვიუმის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასებისას გათვალისწინებულია:

ა) ნაშრომის შინაარსი (0-20 ქულა), საიდანაც ა¹)15-20 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი მსჯელობა ნათელი და დამოუკიდებელია; ნაშრომის მთავარი იდეები ორიგინალურია და სხვა ავტორთაგან ნასესხებს არ ჰგავს; ავტორის მიზანი ნათელია, არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური; მსჯელობა თანმიმდევრულია და კონცენტრირებულია კოლოქვიუმის ძირითად საკვლევ საკითხებზე; ა²)10-14 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი მსჯელობა ნათელია, მაგრამ გარკვეულწილად, დამოუკიდებელი არ არის; ნაშრომის მთავარი იდეები ნაწილობრივ ორიგინალურია, ზოგჯერ - სხვა ავტორთაგან ნასესხებს ჰგავს; ავტორის მიზანი გარკვევით არის ჩამოყალიბებული, არგუმენტაცია კონკრეტული და კომპლექსური; მსჯელობა თანმიმდევრულია, თუმცა შეიძლება უფრო სპეციფიური ყოფილიყო; ა³) 5-9 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი მსჯელობა არასრულია; დამოუკიდებელი არ არის; ნაშრომის მთავარი იდეები, ძირითადად, სხვა ავტორთაგან არის ნასესხები; ავტორის მსჯელობა ხშირად არათანმიმდევრულია, არგუმენტაცია ხშირად მოკლებულია კონკრეტიკას; ა⁴)1-4 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი საკითხების ირგვლივ მსჯელობა მცდარია, ნაკლოვანია. გადმოცემულია შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. ა⁵)0 ქულა - კოლოქვიუმი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის რეალიზებული.

ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (0 - 20 ქულა) საიდანაც ა¹)15-20 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი ყველა იდეა სრულად არის განვითარებული,

საკითხი სიღრმისეულად არის შესწავლილი. ავტორი ფლობს საკვლევ საკითხს, რომელიც სხვადასხვა პერსპექტივიდან არის შესწავლილი. ავტორის პოზიცია გამყარებულია ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. ავტორს მოხმობილი აქვს საკმარისი რაოდენობის სპეციფიკური ლიტერატურა ნაშრომში დაცულია აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი; ა²) 10-14 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი იდეები მეტნაკლები სისრულით არის განვითარებული, საკითხი მეტნაკლებად საფუძვლიანად არის შესწავლილი. ავტორი კარგად ფლობს საკვლევ საკითხს, რომელიც ზოგჯერ სხვადასხვა პერსპექტივიდან არის შესწავლილი. ავტორის პოზიცია გამყარებულია სარწმუნო არგუმენტაციით. ავტორს მოხმობილი აქვს საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა, თუმცა იგი ზოგჯერ არასპეციფიკური ხასიათისაა; ნაშრომში ნაწილობრივ არის დაცული აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი. ა³) 5-9 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი იდეები არასრულად არის განვითარებული; ავტორი კარგად არ ფლობს საკვლევ საკითხს. ავტორის პოზიცია გამყარებული არ არის სათანადო არგუმენტაციით. ავტორს მიერ მოხმობილი ლიტერატურა ზოგადია, სპეციფიკური ლიტერატურა მწირია. ნაშრომში არ არის დაცული აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი. ა⁴) 1-4 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი იდეების ირგვლივ მსჯელობა ნაკლოვანია. გადმოცემულია შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. ა⁵) 0 ქულა - კოლოქვიუმში საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის რეალიზებული.

გ) მონაცემთა სანდოობა (0– 20 ქულა), საიდანაც ა¹) 15-20 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი მონაცემები, როგორც წესი, სანდო წყაროდან არის მოხმობილი; წყაროდ, როგორც წესი, გამოყენებულია კომპეტენტური ავტორის/ავტორების მიერ დაწერილი ნაშრომი/ნაშრომები, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. ავტორი პირველწყაროდან იღებს თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს; მოყვანილი ციტატები ორგანულად ერწყმის ტექსტს; მონაცემები მოყვანილია შესაბამისი წყაროებიდან; ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში. ა²) 9-14 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი მონაცემები მეტწილად სანდო წყაროდან არის მოხმობილი; ხშირ შემთხვევაში წყაროდ გამოყენებულია კომპეტენტური ავტორის/ავტორების მიერ დაწერილი ნაშრომი/ნაშრომები, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ, თუმცა ზოგჯერ ავტორი მიმართავს საექვო რეპუტაციის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებულ ნაშრომებს; მოყვანილი ციტატები მეტწილად ორგანულად ერწყმის ტექსტს; მონაცემები ეყრდნობა შესაბამის წყაროებს; ციტირებული წყაროები, მეტწილად აღნიშნულია ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც. ა³) 5-8 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი მონაცემები ზოგჯერ სანდო წყაროდან არის მოხმობილი; თუმცა ხშირ შემთხვევაში წყაროდ გამოყენებულია საექვო რეპუტაციის მქონე ავტორის/ავტორების მიერ დაწერილი ნაშრომი/ნაშრომები, რომელიც გამოქვეყნებულია საექვო რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ; მოყვანილი ციტატები მეტწილად ორგანულად არ ერწყმის ტექსტს; მონაცემები მეტწილად არ ეყრდნობა შესაბამის წყაროებს; ციტირებული წყაროები, მეტწილად არ არის აღნიშნულია ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში. ა⁴) 1-4 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი მონაცემები სანდო წყაროდან არ არის მოხმობილი; წყაროდ გამოყენებულია საექვო რეპუტაციის მქონე ავტორის/ავტორების მიერ დაწერილი ნაშრომი/ნაშრომები, რომელიც გამოქვეყნებულია საექვო რეპუტაციის

მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ; მოყვანილი ციტატები ორგანულად არ ერწყმის ტექსტს, მონაცემები მეტწილად არ ეყრდნობა შესაბამის წყაროებს, ციტირებული წყაროები არ არის აღნიშნულია ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში. ა⁵) 0 ქულა - კოლოქვიუმი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის რეალიზებული.

დ) ნაშრომის სტრუქტურა (0- 10 ქულა), საიდანაც ა¹) 8-10 ქულა - კოლოქვიუმი ორგანიზებულია ეფექტურად, თითოეული პარაგრაფი სრულად არის განვრცობილი და ადვილი აღსაქმელია მკითხველისათვის; ნაშრომის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია; აქცენტი, როგორც წესი, კეთდება ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე; ნაშრომი გამართულია ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული თვალსაზრისით. ა²) 4-7 ქულა - კოლოქვიუმი კარგად არის ორგანიზებული, თითოეული პარაგრაფი სრულად არის განვრცობილი, თუმცა გვხვდება ადგილები, სადაც მნიშვნელოვან საკითხს ნაკლები ყურადღება ეთმობა, უმნიშვნელოს კი უფრო მეტი; ნაშრომის ნაწილები მეტწილად ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია; ნაშრომი მეტწილად გამართულია ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული თვალსაზრისით, თუმცა გვხვდება უზუსტობებიც. ა³) 1-3 ქულა - კოლოქვიუმი არ არის ორგანიზებული, პარაგრაფები სრულად არ არის განვრცობილი, ნაშრომში მნიშვნელოვან საკითხს ნაკლები ყურადღება ეთმობა, უმნიშვნელოს კი უფრო მეტი; გვხვდება ისეთი ადგილები, რომელთა განსხვავებული ორგანიზებაც ნაშრომს წაადგებოდა; ნაშრომი გაუმართავია ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული თვალსაზრისით. ა⁴) 0 ქულა - კოლოქვიუმი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის რეალიზებული.

ე) შედეგები (0- 20 ქულა), საიდანაც ა¹) 15-20 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი შედეგები ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელია; ავტორის მიერ შემუშავებულია ახალი მიდგომა; ნაშრომს მნიშვნელოვანი რაოდენობით ემატება ახალი ინტერპრეტაცია; ნაშრომი დაკავშირებულია განსხვავებულ კონტექსტთან, ახალ ანალიზთან; დასკვნები ლოგიკურია. ა²) 10-14 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი შედეგები შეიცავს სიახლეს, გარკვეულწილად მნიშვნელოვანია; ავტორის მიერ შემუშავებულია ახალი მიდგომის მონახაზი; ნაშრომს გარკვეული რაოდენობით ემატება ახალი ინტერპრეტაცია; დასკვნები ლოგიკურია. ა³) 5 - 9 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი შედეგები ფრაგმენტული სახით შეიცავს სიახლეს, ნაკლებად მნიშვნელოვანია; ავტორის მიერ არ არის შემუშავებული ახალი მიდგომა; ნაშრომი არ შეიცავს ახალ ინტერპრეტაციას; დასკვნები ზოგჯერ მოკლებულია ლოგიკურობას. ა⁴) 1- 4 ქულა - კოლოქვიუმში წარმოდგენილი შედეგები არ შეიცავს სიახლეს, არ არის მნიშვნელოვანი; ავტორის მიერ არ არის შემუშავებული ახალი მიდგომა; ნაშრომი არ შეიცავს ახალ ინტერპრეტაციას; დასკვნები ალოგიკურია. ა⁵) 0 ქულა - კოლოქვიუმი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის რეალიზებული.

ვ) პრეზენტაცია (0- 10 ქულა), საიდანაც ა¹) 8-10 ქულა - ნათლად და დასაბუთებულად არის გადმოცემული საუბრის მიზნები; დოქტორანტმა გამოამჟღავნა სასემინარო ნაშრომის ცოდნა.; დასაბუთება ხდებოდა ფაქტებით; დოქტორანტი საუბრობდა გასაგებად, გარკვევით; ჰქონდა სასიამოვნო შესტები და მიმიკა; დოქტორანტი იყო თავდაჯერებული, მშვიდი, კონტროლს უწევდა საკუთარ თავს; პიროვნულად კარგი შთაბეჭდილება დატოვა აუდიტორიაზე სწორად გაანაწილა დროის ლიმიტი; ჰქონდა ეფექტური დასაწყისი; ნათლად დაასრულა საუბარი, შეაჯამა შედეგები; მიაღწია გამოსვლის დასახულ მიზანს; გამოსვლაში

კარგად იყენებდა აუდიო-ვიზუალურ საშუალებებს. ა²) 4-7 ქულა - გარკვევით არის გადმოცემული საუბრის მიზნები; დოქტორანტი ფლობს სასემინარო ნაშრომის მასალას; დასაბუთება ხდებოდა ფაქტებით, თუმცა იყო რამდენიმე გამონაკლისი; დოქტორანტი საუბრობდა გასაგებად, გამომჟღავნა მეტყველების კულტურის გარკვეული დონე; დოქტორანტმა სასიამოვნო; შთაბეჭდილება დატოვა აუდიტორიაზე; მეტნაკლებად სწორად გაანაწილა დროის ლიმიტი; გარკვეულწილად მიაღწია გამოსვლის დასახულ მიზანს; გამოსვლაში ფრაგმენტულად იყენებდა აუდიო-ვიზუალურ საშუალებებს. ა³) 1-3 ქულა - გარკვევით არ არის გადმოცემული საუბრის მიზნები; დოქტორანტი მეტნაკლებად ფლობს სასემინარო ნაშრომის მასალას; დასაბუთება ყოველთვის არ ხდებოდა ფაქტებით; დოქტორანტი საუბრობდა გასაგებად, თუმცა იყო გაურკვეველი ფრაგმენტებიც; დოქტორანტმა გამომჟღავნა მეტყველების კულტურის გარკვეული დონე; სწორად ვერ გაანაწილა დროის ლიმიტი; ნაწილობრივ მიაღწია გამოსვლის დასახულ მიზანს; გამოსვლაში თითქმის ვერ იყენებდა აუდიო-ვიზუალურ საშუალებებს. ა⁴) 0 ქულა - კოლოქვიუმი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის რეალიზებული.

22. კოლოქვიულის საბოლოო ქულა განისაზღვრება დოქტორანტის ხელმძღვანელისა და რეცენზენტების მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი შემფასებელთა რაოდენობაზე).

23. კოლოქვიუმის შედეგები განიმარტება შემდეგნაირად:

კრიტერიუმები	ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები	დარგობრივი კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.	აქვს სადოქტორო თემასთან დაკავშირებით უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; შეუძლია ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებით სადოქტორო თემიდან გამომდინარე რეფერირებადი ჟურნალისათვის პუბლიკაციის მომზადება აუცილებელი სტანდარტების დონეზე.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და შედეგადმიხედვლობა; შემუ-	დამოუკიდებლად გეგმავს სადოქტორო თემიდან გამომდინარე ინოვაციური კვლევის მეთოდოლოგიას; შეიმუშავებს ანალიტიკურ მეთოდებსა

	შავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.	და მიდგომებს, მეცნიერ-ხელმძღვანელთან კონსულტაციით; იყენებს კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს ახალი ცოდნის მისაღებად, გასაანალიზებლად და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში გამოსაქვეყნებლად.
დასკვნის უნარი	ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;	კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარს; პრობლემის დასმის და გადაჭრის, სწორი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს.
კომუნიკაციის უნარი	ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე	სადოქტორო თემიდან გამომდინარე, შეუძლია არსებული ცოდნისა და მიღებული ახალი ცოდნის შეპირისპირება, ურთიერთკავშირში სრულყოფილად წარმოჩენა, თემატურ პოლემიკაში ჩართვა, როგორც ზეპირად, ისე წერილობით ქართულ და უცხო ენაზე.
სწავლის უნარი	უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.	სადოქტორო თემიდან შესაბამისად, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ადგენს სწავლება/სწავლის გაუმჯობესების შესაძლებლობებს და ტექნოლოგიებს; მზად არის ახალი ინოვაციების დანერგვა-განვითარებისათვის; აფასებს და გეგმავს საკუთარი სწავლის პროცესის განხორციელების საჭიროებებს; შეისწავლის კვლევის ახალ მეთოდებს.

ღირებულებები	ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.	კონკრეტული თემის განზოგადებით გააცნობიეროს დარგის ძირითადი სამეცნიერო ფასეულობები და მოცემული სასემინარო საკითხის ფორმატში შექმნას ახალი ხედვა.
--------------	---	---

24. სწავლების მეთოდებში იგულისხმება:

კონსულტაცია და პრაქტიკული მუშაობა. ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სწავლების აქტიური მეთოდები: დისკუსია, კითხვა-პასუხის სესია; დამოუკიდებელი მუშაობის ისეთი ფორმები, როგორცაა სადისერტაციო მასალის მომზადება, მოძიება (მათ შორის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით), ბიბლიოთეკაში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა და კონსულტაციები ხელმძღვანელთან, დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია, ასევე კონფერენციებში მონაწილეობა და პუბლიკაციის გამოქვეყნება.

25. კოლოქვიუმი გაფორმებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად:

- ა) ნაშრომის ტენიკური პარამეტრები: ზღვრული მოცულობა - 50–60 გვ.
- ბ) ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი; ფურცლის ზომა - A/4; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობა – sylfaen; სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან – 1 სმ., ზემოდან – 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ

მუხლი 6. დოქტორანტი ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმები

1. თითოეული დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (იხ. დანართი 4) ეს უკანასკნელი დამოკიდებულია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგისა და სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე, ფაკულტეტის აკადემიურ პოტენციალსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ, დოქტორანტი გეგმის შევსებულ ფორმას და მის თანდართულ დოკუმენტაციას წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, რომელიც აცნობებს ფაკულტეტის საბჭოს დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ.

2. დოქტორანტურაში სწავლის დასაწყისში დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას (იხ. დანართი 5) და შევსებულ ფორმას წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება სადისერტაციო ნაშრომის (კონკრეტული კვლევითი პროექტის) განსახორციელებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო განრიგი.

მუხლი 7. მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომისადმი

1. დოქტორანტურის დასრულების შემდეგ დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სადისერტაციო ნაშრომი. სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის კვლევითი მუშაობის შედეგს.

2. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში;

3. დისერტაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში, კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე სადისერტაციო მაცნეს სახით;

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინაპირობაა:

ა) ბსუ-ს მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის სამსახურმა ფაკულტეტების საბჭოებთან თანამშრომლობით უნდა შექმნას უცხოელ ექსპერტთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა და უზრუნველყოს დისერტაციის შემოკლებული ვარიანტის (30-40 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირება.⁵

ბ) დოქტორანტის მიერ სადოქტორო თემაზე შესრულებული მინიმუმ სამი ნაშრომი/სტატია უნდა იყოს დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/ რეცენზირებად ან დადებითი იმპაქტ ფაქტორის მქონე ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში, ან შესაბამის დარგობრივ სამეცნიერო საერთაშორისო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში.⁶

5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, კერძოდ, ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის მიმართულების სადისერტაციო ნაშრომების ინტერნაციონალი-ზაციისათვის სავალდებულოა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესრულება, ხოლო „ა“ ქვეპუნქტისათვის საკმარისია უცხო ენაზე თარგმნილი დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-40 გვერდი) გაგზავნა მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის სამსახურის მიერ უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, რომელთა ნუსხას ადგენს ფაკულტეტის საბჭო.⁷

მუხლი 8. სადისერტაციო ნაშრომი და მისი დაცვა

1. დისერტაციის წარდგენის, აპრობაციის, საჯარო დაცვის, შეფასების, ხარისხის მინიჭების, დიპლომის გაცემისა და სხვა წესები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

მუხლი 9. დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

1. შეთანხმება სადოქტორო პროგრამების განხორციელებაზე პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით, წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული

⁵ ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 მაისის №48-ე დადგენილებით.

⁶ ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 მაისის №48-ე დადგენილებით.

⁷ ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 მაისის №48-ე დადგენილებით.

შეთანხმებით თანამშრომლობისა და ერთობლივი სადოქტორო პროგრამის განხორციელების შესახებ.

2. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წინაპირობებს.

3. განცხადებას ამ დებულებით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, უნდა დაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური პირის თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე.

4. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში, დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ ბსუ-ს და პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებმა. აუცილებელია ორივე ხელმძღვანელის დასკვნა და დისერტაციის დაცვაზე ერთ-ერთის დასწრება მაინც.

5. სადისერტაციო საქმის წარმოებისას გამოიყენება ორივე უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების პირობები.

6. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს პარტნიორი უნივერსიტეტის მითითებით გასცემს ის უნივერსიტეტი, სადაც განხორციელდა დისერტაციის დაცვა.

7. დისერტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულად და პარტნიორი უნივერსიტეტის სამუშაო ენაზე. იგივე წესი ვრცელდება დაცვასთან დაკავშირებით.

მუხლი 10. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის საფასური

1. დოქტორანტურაში სწავლის საფასური შეიძლება დაიფაროს სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, ქველმოქმედების და თვითდაფინანსების ფორმით.

2. თვითდაფინანსების შემთხვევაში დოქტორანტი სწავლის საფასურს იხდის უნივერსიტეტში მოქმედი „სწავლის საფასურის გადახდის წესის“ შესაბამისად. დოქტორანტის ფინანსური ვალდებულება აისახება ამ დოქტორანტის, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ ხარჯთაღრიცხვაში (იხ. დანართი 7), რომელიც ფორმდება პირველი სასწავლო წლის დასაწყისში. აღნიშნულ ხარჯთაღრიცხვაში სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაძლებელია შეტანილი იქნეს ცვლილებები, რაც გონივრულ ვადაში ეცნობება დოქტორანტს.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

1. ამ წესის მოთხოვნები ძალაშია 2012–2013 სასწავლო წლიდან ჩარიცხული დოქტორანტებისათვის.

2. 2012–13 სასწავლო წლამდე ჩარიცხული, სწავლების პირველ და მეორე სასწავლო წელს სტუდენტის სტატუსზეჩერებული დოქტორანტები (ფინანსური დავალიანების მქონე ან აკადემიურ შვებულებაში მყოფი), სტუდენტის სტატუსში აღდგენის შემთხვევაში ვალდებულნი არიან სწავლა განაგრძონ ამ დროისათვის მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე და დაექვემდებარონ წინამდებარე წესის მოთხოვნებს;

დანართი 1.

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება
„ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“,
ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org)

ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო)

მესამე დონე ითვლება გაწაფულობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეეძლოს, თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას უნდა შეეძლოს როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას განვითარებული აქვს მეტი მოქნილობა და უნარი, რომ შეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა ენის უცვლელ ნიმუშებსა და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას ზრდილობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა ისაუბროს ოფიციალურ სიტუაციაში.

B2 დონის გამოცდა გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დონეზე ენის მცოდნე მზად არის შეასრულოს საოფისე სამუშაო და გაიაროს არაკადემიური კურსი იმ ენაზე, რომელსაც სწავლობს (მაგალითად იმ ქვეყანაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ). ამ დონეზე ენის მცოდნეს უნდა შეეძლოს ენის გამოყენება სამოხელეო, სამდივნო და მენეჯრის პოზიციებზე და ზოგ ინდუსტრიაში, განსაკუთრებით ტურიზმში.

საუბარი

სწავლისას ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია დასვას შეკითხვები ლექციაზე ან პრეზენტაციისას მისთვის ნაცნობ ან პროგნოზირებად თემაზე, თუმცა გარკვეული სირთულეებით. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სემინარსა და წვრთნებში, თუმცა ისევ და ისევ გარკვეული სირთულეებით.

წერა

ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია შეზღუდული გამოყენებისათვის ან შემდგომი გადამუშავების მიზნით ჩაიწეროს შენიშვნები ლექციებსა და სემინარებზე, თუმცა დამატებითი დროის უქონლობის შემთხვევაში შეეწყმნება სირთულეები. მას შეუძლია ამოიწეროს შენიშვნები წერილობითი წყაროებიდან, თუმცა შეიძლება გამორჩეს მთავარი საკითხები. მას შეუძლია დაწეროს ესსე, რომელშიც გადმოსცემს

თავის აზრს, ან დაწეროს ექსპერიმენტისა ანგარიში, რომელშიც ნაჩვენები იქნება შესრულებული სამუშაოს ძირითად შინაარსი.

კითხვა

მისი კითხვის უნარი აღემატება ყოველდღიური წერილებისა და ძირითადი საგაზეთო/ჟურნალის სტატიების გაგების უნარს. მას შეუძლია გაეცნოს მისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ფაქტობრივ ინფორმაციას და საკუთარი გამოცნებით შერჩეულ მხატვრულ ლიტერატურას. მას შეუძლია თავი გაართვას მცირე მოცულობის მოხსენებებსა და სტატიებს პროგნოზირებად თემებზე და გაიგოს მისთვის ნაკლებად ცნობილ თემაზე სტატიის ან მოხსენების ზოგადი შინაარსი, თუმცა ინფორმაციის ბუნდოვნად გამოხატვის შემთხვევაში არასწორად გაგებაა მოსალოდნელი. ამ დონეზე ენის მცოდნე არის ენაში საკმარისად გაწაფული იმისათვის, რომ დასძლიოს არაკადემიური ტრენინგები, რომლებიც სასწავლო ენაზე ტარდება. ამ დონეზე ენის მცოდნეს შეუძლია დასძლიოს ლექციის, პრეზენტაციის მასალა მისთვის ნაცნობ სფეროში ან იმ შემთხვევაში, როცა კონტექსტს კარგად იცნობს, თუმცა შეიძლება შეექმნას სირთულეები აბსტრაქტული არგუმენტაციის გაგებისას. მას შეუძლია წაიკითხოს მარტივი სახელმძღვანელოები და სტატიები, თუმცა არც ისე სწრაფად, რომ დასძლიოს აკადემიური კურსი.

მოსმენა

სწავლისას, მას შეუძლია გაიგოს მისთვის ნაცნობ თემაზე ლექციის ზოგადი შინაარსი.

B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა

გერმანული ენა

Goethe-Zertifikat B2

CEFR B2

ინგლისური ენა

IELTS exam – 5

BEC exam and CELS exam -- Vantage

Cambridge exam – FCE

Pitman ESOL Intermediate

TOEIC – 541

TOEFL – 500 (paper-based)

173 (computer-based)

61 (internet-based)

ფრანგული ენა

Diplôme de Langue Française (DL) (AF)

Diplôme d' Etudes en Langue Française DELF/B2 (CIEP)

ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ
(პროფესორის ასისტენტობა)

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

პროფესორი, რომელსაც დოქტორანტი უწევს ასისტენტობას _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

პროფესორის ასისტენტობა ფასდება 100-ქულიანი სისტემით:

ფრიადი (91 და მეტი ქულა) - A

ძალიან კარგი (81-90 ქულა) - B

კარგი (71-80 ქულა) -C

დამაკმაყოფილებელი (61-70 ქულა) -D

საკმარისი (51- 60 ქულა) - E

ვერ ჩააბარა (41- 50 ქულა) FX

ჩაიჭრა (40- ზე ნაკლები ქულა) - F

შეფასების კრიტერიუმების განმარტება:

ფრიადი - დოქტორანტმა ზედმიწევნით კარგად და სრულად შეასრულა დავალება.

ძალიან კარგი - დოქტორანტმა სრულად და ძალიან კარგად შეასრულა დავალება, არ დაუშვია არსებითი შეცდომები.

კარგი - დოქტორანტმა სრულად შეასრულა დავალება. მაგრამ დაუშვა არაარსებითი ხასიათის რამდენიმე შეცდომა.

დამაკმაყოფილებელი - დოქტორანტმა დავალება დამაკმაყოფილებლად, მაგრამ ხარვეზებით შეასრულა.

საკმარისი: დოქტორანტმა დავალება ნაწილობრივ შეასრულა. დაუშვა რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა.

ვერ ჩააბარა - დოქტორანტმა დავალება არასრულად შეასრულა. მისი მიდგომა მცდარია; ვერ გამოამჟღავნა დასახული ამოცანის განსახორციელებლად საჭირო უნარები. დაუშვა რამდენიმე არსებითი შეცდომა.

ჩაიჭრა - დოქტორანტმა შეასრულა სამუშაოს მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები და/ ან არაადეკვატურად შეასრულა სამუშაო და/ ან არ შეასრულა დასმული ამოცანა.

შესრულებული სამუშაო	დახარჯული დროის მოცულობა	დოქტორანტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობა ⁸	შეფასება	საბოლოო შეფასება ⁹
ჯგუფში მუშაობა	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:			
ლაბორატორიული სამუშაო	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:			
შუალედური და	მომზადებული			

⁸ ამა თუ იმ აქტივობაზე დახარჯული საათების საერთო რაოდენობა იყოფა 25-ზე და მიიღება შესაბამისი კრედიტი.

⁹ საბოლოო შეფასება მიიღება შეფასებების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის გზით (ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 მაისის №48-ე დადგენილებით.)

საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება	მასალის მოცულობა: მასალის მომზადებაზე დახარჯული დრო:			
სტუდენტთა ნაშრომების გასწორება	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის გასწორებაზე დახარჯული დრო: სულ:			
საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის რეცენზირებაზე დახარჯული დრო: სულ:			
ელექტრონული სასწავლო კურსებისთვის მასალების მომზადება	მომზადებული მასალის მოცულობა: მასალის მომზადებაზე დახარჯული დრო:			
საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე დახარჯული დრო: სულ:			
კურატორობა	სტუდენტთა კონსულტაციაზე დახარჯული დრო:			
სხვა				

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

პროფესორის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა :

თარიღი: _____

დანართი 3

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სადოქტორო სემინარის შეფასების უწყისი №

„___“ _____ 20..

სადოქტორო პროგრამის დასახელება: -----

სადოქტორო სემინარის ნაშრომის დასახელება: -----

დოქტორანტის გვარი, სახელი: -----

პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების გვარი, სახელი:

შეფასების კომისია:

წევრი 1. -----

წევრი 2. -----

წევრი 3. -----

№	სასემინარო ნაშრომი სემინარის შეფასების კომპონენტები	შეფასების მაქსიმალური ქულა კომპონენტების მიხედვით (დაცვაზე გასვლის წინაპირობაა მინიმ.31 ქულა)	შეფასება
1	ნაშრომის შინაარსობრივი მხარე	50 ქულა	
2	ნაშრომის ფორმალური მხარე	20 ქულა	
3	დისკუსიაში მონაწილეობა	30 ქულა	
	სულ	100 ქულა	

შეფასების კომისიის წევრების ხელმოწერა: -----

შეფასების თარიღი: -----

ფაკულტეტის დეკანი:

(ბ.ა)

ფაკულტეტის მდივანი:

რეგისტრირებულია
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში:

გაცემის თარიღი: _____

დანართი 4.

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი :

ფაკულტეტი:

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები:

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

დოქტორანტურაში ჩარიცხვის თარიღი:

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი:

სასწავლო კომპონენტი	დოქტორანტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობა	შეფასება

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ხელმოწერა:

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ხელმოწერა:

თარიღი: _____

დანართი 5.

დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა

დოქტორანტის _____ სახელი და გვარი _____ :

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო _____ პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები: _____

დოქტორანტურაში _____ ჩარიცხვის თარიღი: _____

დოქტორანტურაში _____ ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: _____

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერილობა: _____

ა) კვლევის მიზანი:

ბ) საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა:

გ) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:

დ) სადისერტაციო ნაშრომის შესრულების (კვლევის) სავარაუდო გრაფიკი:

კოლოქვიუმი	დოქტორანტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობა	შეფასება

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ხელმოწერა:

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ხელმოწერა:
თარიღი:

დანართი 6.

საერთაშორისო რეცენზირებისათვის დისერტაციის შემოკლებული ვარიანტის წარმოდგენისა და მისი შეფასების წესი

1. რეცენზენტები

1) დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი დისერტაციის შემოკლებული ვარიანტი ეგზავნება არანაკლებ ორ ექსპერტს, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2) ექსპერტის ვინაობა კონფიდენციალურია, როგორც გაგზავნისას, ასევე მიღების შემდგომ პერიოდში.

3) ექსპერტი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი.

4) ექსპერტის დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან ორი თვის ვადით.

5) ორი თვის განმავლობაში ექსპერტის პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, დისერტაციის შემოკლებული ვერსია ეგზავნება სხვა ექსპერტს.

6) რეცენზირებისათვის საჭირო თანხა შეიძლება გამოიყოს დოქტორანტის სწავლის გადასახადიდან.

7) დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის/სტატიის რეცენზირება შეიძლება მოახდინოს აგრეთვე: 1) უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში; 2) უნივერსიტეტში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში (მაგალითად, DAAD-ის, Fullbright-ის სტიპენდიანტები და სხვა).

2. რეცენზენტის მიერ შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:

1) ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას.

2) შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა) - მოწმდება: პრობლემის აქტუალობა; იკვეთება თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი. არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა ნაშრომი ძირითად საკვლევ საკითხებზე.

ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა) - მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა. არის თუ არა დამხმარე

ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი. გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.

გ) მონაცემთა სარწმუნოება (მაქსიმუმ 4 ქულა)- მოწმდება: მონაცემების სისწორე. წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს. რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები. არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.

დ) სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა) - მოწმდება: არის თუ არა ნაშრომი კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. სტატია კარგად თუ არის ორგანიზებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.

ე) შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა) - მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა. არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები.

3) თუ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. თუ ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ხოლო მეორის დადებითი, ნაშრომი ეგზავნება მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

(ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 ნოემბრის №146-ე დადგენილებით)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

----- ფაკულტეტის

სადოქტორო პროგრამაზე: -----

სწავლის ხარჯთაღრიცხვის ფორმა

№	დანახარჯის მუხლები	ერთეული (კრედიტი/სთ)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	რაოდენობა	სულ თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	სასწავლო კომპონენტი	1 კრ	37.5	60	2250	
2	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა	1 სთ	12	100	1200	
3	სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისათვის საჭირო აქტივობები (თემატიკის სპეციფიკიდან გამომდინარე ლიტერატურის/წყაროების მოძიება; ექსპერიმენტის ჩატარება...) ¹⁰				-	
4	ნაშრომის/სტატიის გამოქვეყნება				-	
5	მივლინება				-	
6	სადისერტაციო ნაშრომის საერთაშორისო რეცენზირება	2	200		400	
7	სადისერტაციო საბჭოში სადისერტაციო ნაშრომის შეფასება და საჯარო დაცვა				600	

¹⁰ შენიშვნა: „სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ხარჯთაღრიცხვის“ ფორმის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებები ხორციელდება დოქტორანტის ხარჯით შესაბამისი სადოქტორო პროგრამისა და თემის საჭიროებიდან გამომდინარე.

8	ადმინისტრირების ხარჯი				120	
	სულ				4570	

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:
 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:
 დოქტორანტი:
 (ხელშეკრულების №----; -----)

(დამატება შევიდა აკადემიური საბჭოს 2015 წლის 17 ივლისის №79-ე დადგენილებით)

დანართი 8.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 სადოქტორო კოლოქვიუმის შეფასების უწყისი №

„___“ _____ 20..

ფაკულტეტი: _____

სადოქტოროპროგრამისდასახელება: -----

სადისერტაციო თემის დასახელება: -----

დოქტორანტისგვარი, სახელი: -----

პროგრამისხელმძღვანელის/ხელმძღვანელებისგვარი, სახელი:

სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები: _____

შეფასებისკომისია:

წევრი 1.სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები-----

წევრი 2. რეცენზენტი-----

წევრი 3.რეცენზენტი-----

№	შეფასებისკომპონენტები	შეფასების მაქსიმალური ქულა კომპონენტების მიხედვით	შეფასება
1	ნაშრომისშინაარსი	0– 20 ქულა	
2	ანალიზისსიღრმედაკვლევისხარისხი	0– 20 ქულა	
3	მონაცემთასანდობა	0– 20 ქულა	
4	ნაშრომისსტრუქტურა	0-10 ქულა	
5	შედეგები	0-20 ქულა	
6	პრეზენტაცია	0-10 ქულა	
	სულ	100 ქულა	

შეფასების კომისიის წევრების ხელმოწერა: -----

შეცხების თარიღი: -----

ფაკულტეტის დეკანი:

ფაკულტეტის მდივანი:

რეგისტრირებულია

რექტორის მოადგილე:

გაცემის თარიღი: _____